I ვარიანტი

თემა:

1) **დასტურლამალის შედგენის დრო და შემადგენლობა.**

„დასტურლამალი“ შედგენილია ვახტანგ ბატონიშვილის მიერ, როცა ის განაგებდა ქართლს თავის ბიძის, გიორგი XI-ის მაგიერ, რომელიც შეურიგდა ირანს, იქ თანამდებობა მიიღო („სრულიად ირანის სპასპეტი და სპასალარი“) და ქართლში თავისი ძმისშვილი, მომავალი მეფე - ვახტანგ VI განაწესა გამგებლად 1703 წელს. თავად მფე გიორგი სპარსეთში მოკლეს 1709 წელს. ი. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, „დასტურლამალი“ დაიწერა 1707-1709 წლებში.

„დასტურლამალი“ ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლია. ძეგლი შედგება ორი ნაწილისაგან: **სადედოფლო** და **სამეფო დასტურლამალებისგან.** „სამეფო დასტურლამალი“ 222 მუხლისაგან შედგება, ხოლო სადედოფლო - 22 მუხლს მოიცავს. ძეგლში შესულია აგრეთვე სხვადასხვა დროის საკანონმდებლო აქტები. მაგალითად, ძეგლში ვხდებით ვახტანგის მამის, ლევანის მიერ შედგენილ მდივანბეგობის გარიგებასა და ბოქაულთუხუცესის სარგოს. აგრეთვე როსტომ მეფის მიერ შედგენილი მურდის გარიგება (1638 ქ.) ცოტაოდენი ცვლილებების სახითაა შესული „დასტურლამალში“.

ძეგლი შეიცავს აგრეთვე მნიშვნელოვან ცნობებს ქართლის სახელმწიფო წყობილების შესახებ. მასში აღწერილია სასახლეში მეფის მოქმედების, მისი მომსახურებისა თუ დასვენებისთვის მოხელეთა საქმიანობის წესები. ძეგლში მოცემულია ასევე ადგილობრივი მმართველობის მოხელეთა უფლებამოსილება. დიდი ადგილი ეთმობა საგადასახადო სისტემის საკითხებსაც.

ამრიგად, „დასტურლამალი“ იმ სახით, როგორსაც ჩვენ ვიცნობთ, შედგენილია ვახტანგ ბატონიშვილის მიერ 1707-1709 წლებში. ძეგლში შემავალი აქტების უმრავლესობა ვახტანგმა შეკრიბა, მოიყვანა ისინი სისტემაში და მისცა მათ ერთიანი საკანონმდებლო აქტის ფორმა.

კითხვარი:

2) **კათალიკოსთა სამართალი ეკლესიისა და ხატის გაძარცვისა და საეკლესიო საქონლის გამოტანის შესახებ (კათალიკოსთა სამართალი მე-2 და მე-3 მუხლები).**

ეკლესიისა და ხატის გაძარცვა „კათალიკოზთა სამართლის“ მიხედვით მკრეხელობაა და დამნაშავე უნდა ცამოახრჩონ (მე-2 მუხლი). შემდეგი მუხლი (მე-3) ეხება ეკლესიიდან საქონლის გამოტანას, მოპარვას. ეკლესიის საქონლის, ნივთის მითვისებას. ამ შემთხვევაში დამნაშევს მიესჯება საქონლის ანაზღაურება და დაშავება, ანუ რომელიმე ასოს მოკვეთა.

3) **დაასახელეთ „მცირე სჯულისკანონის“ შემადგენელი ნაწილები.**

მცირე სჯულისკანონი ოთხი ნაწილისაგან შედგება:

1. VI მსოფლიო საეკლესიო კრების (ტრულის 692 წ. კრება) კანონები;
2. კანონნი შეცოდებულთანი იოანე მმარხველისა;
3. კანონნი დღითი-დღეთა ცდომათან;
4. ძეგლის წერა სარწმუნოებისაი.

4) **რა ეწოდება ბექა-აღბუღას სამარლის წიგნს 1672 წლის ხელნაწერის მიხედვით? რამდენი მუხლისაგან შედგება?**

აღბუღას წიგნს 1672 წლის ხელნაწერის მიხედვით ეწოდება: „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე“. აღბუღას წიგნი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: დასაწყისი, რომელიც თავად აღბუღასია. პირველი 65 მუხლი - ბექასი, 65-დან 98-მდე - აღბუღასი, ხოლო 100-დან 103 მუხლის ჩათვლით და შეიძლება მეტიც ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის.

5) **რატომ ანიჭებს უპირატესობას ვახტანგ VI თავისი სამართლის წიგნს „ვახტანგ VI-ის სამართლის კრებულში“ შემავალ სხვა ეროვნულ სამართლის ძეგლებთან შედარებით?**

როდესაც ჩვენ საუბარი გვაქვს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულზე, უნდა ავღნიშნოთ მისი უპირატესობა მასში შემავალ არაქართულ სამართლის წიგნებთან შედარებით. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ განსაზღვრული კაზუსის შესახებ თუ მოიპოვებოდა საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნში, მაშინ აღარ გამოიყენებოდა უცხოური სამართლის წყაროები. ამის შესახებ თავად ვახტანგიც აღნიშნავდა, რომ მოსამართლეს ჯერ საკუთრივ მისი დაწერილი კანონები უნდა ენახა და თუ ის არ აღმოჩნდებოდა საკმარისი, მხოლოდ ამის შემდეგ ეხელმძღვანელათ სამართლის წიგნში შემავალი სხვა, უცხოური წყაროებით, რადგან ვახტანგი თვლიდა, რომ მისი წიგნი უფრო თანამედროვე და ქართულ ადათებზე მორგებული იყო.

<u>II ვარიანტი</u>

<u>**თემა:**</u>

1) **აღბუღას სამართალი.**

„აღბუღას სამართლის წიგნი“ არ ეკუთვნის ერთ კანონმდებელს. იგი შედგენილია XII-XIV საუკუნეებში (ბექასი 1295-1304 წწ. აღბუღასი დაახლოებით 1381-1386 წწ.). ძეგლის დასაწყისი თავად აღბუღასია, პირველი 65 მუხლი - ბექა მანდატურთუხუცეს-ჯაყელის, 65-დან 98-ე მუხლამდე - აღბუღასი, ხოლო 100-დან 103 მუხლის ჩათვლით და შეიძლება მეტიც ბაგრატ კურაპალატს ეკუთნის. 1672 წლის ხელნაწერით, რომელიც უძველესია და 98-ე მუხლით მთავრება, სამართლის წიგნს ეწოდება: „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე.“

„აღბუღას სამართლის წიგნი“ განკუთვნილი იყო სამცხე-საათაბაგოსთვის. აქ საქართველოს მეფე არც მოიხსენიება. მეფის ნაცვლად მოხსენიებულია ათაბაგი, ხოლო კათალიკოსის ნაცვლად - მაწყვერელი. სამართლის წიგნში მოცემულია ნორმები სამართლის სხვადასხვა დარგიდან. აქ ვხვდებიტ უმთავრესად სისხლის სამართლის ნორმებს (მკვლელობა, დაჭრა, მეკობრეობა და ა.შ.), ხოლო სამოქალაქო სამართლის ნორმებით სამართლის წიგნი ეხება საკუთრების უფლებას, ნასყიდობას, გირავნობას, სესხსა და ა.შ. წიგნი ეხება აგრეთვე სამოსამართლო სამართლის საკითხებს (ბჭე, შუაკაცი, მტკიცების საშუალებანი და სხვ.).

„აღბუღას სამართლის წიგნი“ ფეოდალური საზოგადოების ძეგლია და ის გაბატონებული ფეოდალური კლასის ინტერესებს იცავს.

<u>**კითხვარი:**</u>

2) **ქართული სამართლის ძეგლების კლასიფიკაცია.**

ქართული სამართლის ძეგლებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ გვაქვს როგორც **არაპირდაპირი,** ასევე **პირდაპირი** წყაროები.

არაპირდაპირი წყაროებია: არმაზის ბილინგვა, „შუშანიკის წამება“ და ა.შ.

პირდაპირი წყაროები ორ ჯგუფად იყოფიან:

1) **საეკლესიო სამართლის წყაროები.** ეს უკანასკნელი იყოფა ორ ჯგუფად:
   ა) უცხოურიდან ნათარგმნი: ექვთიმე მთაწმინდელის მცირე სჯულისკანონი და არსენ იყალთოელის დიდი სჯულისკანონი.
   ბ) ადგილობრივი: „რუის-ურბნისის ძეგლისწერა“, „კათალიკოზთა სამართალი“.
2) **საერო სამართლის ძეგლები:**
   ა) სახელმწიფო სამართლის ძეგლები: გორგი ბრწყინვალის „ხელმწიფის კარის გარიგება“, ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“.
   ბ) სისხლისა და სამოქალაქო სამართლის შემცველი ძეგლები: „აღბუღას სამართლის

წიგნი“, „ბაგრატის სამართლის წიგნის“ ფრაგმენტი, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება“, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნთა კრებული“.

3) **რა სასჯელია გათვალისწინებული რძლის ცოლად შერთვისთვის კათალიკოსთა სამართლის მიხედვით? (მუხლე 22-ე)**

შეჩვენება და ჩაქოლვა.

4) **რა ითვლება კვალიფიციურ მკვლელობად გიორგი V-ის ძეგლისდების მიხედვით? თანამონაწილეობის საკითხი კვალიფიციურ მკვლელობასთან დაკავშირებით.**

კვალიფიციურ მკვლელობად ითვლება დედის, მამისა და ძმის მკვლელობა. კანონმდებელი აგრეთვე აღნიშნავს, რომ თანამონაწილე გარეშე პირები პასუხს აგებენ არა კვალიფიციური არამედ ჩვეულებრივი მკვლელობისათვის.

5) **დაასახელეთ „ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის“ წყაროები.**

„ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის“ წყაროებს წარმოადგენს კონსტანტინე არმენოპულოს 6 წიგნი, ვლასტარის კრებული, ე.წ. მათე ვლასტარის სინტაგმა.

III ვარიანტი

თემა:

1) **რუის-ურბნისის ძეგლიწერა (დადგენილებები).**

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოწვეული იყო დავით აღმაშენებლის ინიციატივით დაახლ. 1103 წელს. კრების მიზანი იყო ეკლესიის დამორჩილება და „ქუაბ-ავაზაკთაგან“ მისი განწმენდა. ივ. ჯავახიშვილი ძეგლისწერას ყოფს 4 ნაწილად: 1) შესავალი, 2) დადგენილებანი, 3) დავითის შესხმა, 4) ქართველ მოღვაწეთა მრავალჟამიერი და მიცვალებულთა მოსახსენიებელი. კ. კეკელიძე კი ბოლო ორ ნაწილს აერთიანებს „სინოდიკონში“.

რუის-ურბნისის ძეგლისწერა 15 დადგენილებისაგან (ი. დოლიძე მიიჩნევს, რომ იყო 16 დადგენილება) შედგებოდა.

1) პირველ ყოვლისა, ძეგლისწერამ თანამდებობიდან გადაყენებულად გამოაცხადა ურირსი მღვდელთმთავრები;
2) ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 35 წლის, მღვდელი - 30, დიაკონი - 25, „წიგნის მკითხველი“ – 8 წლის.
3) ხელდასმა და ეკლესიის კურთხევა უნდა ჩატარებულიყო გიორგი მთაწმინდელის განწესების მიხედვით.
4) ძეგლისწერა კრძალავს ქრთამით სამღვდელო თანამდებობაზე დანიშვნას.
5) საეკლესიო ქონება, იქნებოდა ეს ნაყიდი თუ შემოწირული, მხოლოდ თავისი დანიშნულებით უნდა მოხმარებულიყო და არ შეიძლებოდა მისით ვაჭრობა.
6) ქორწინება, მონათვლა, მონაზვნად განწესება ხდებოდა ეკლესიის მიერ განსაზღვრული წესით და ამ წესის დარღვევა აკრძალული იყო.
7) ქორწინებისთვის განსაზღვრული იყო ასაკი, კერძოდ ქალი არანაკლებ 12 წლის უნდა ყოფილიყო.
8) კათალიკოსთა და ეპისკოპოსთაგან უნდა შეერჩიათ ისეთი მსახურნი, რომლებიც გათვითცნობიერებულნი იყვნენ საქრისტიანო წესებში. ამასთანავე ყველა სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო უანგარო.
9) ძეგლის მიხედვით, დიდ მონასტრებში დასაშვები იყო მხოლოდ ორი მოძღვრის, ხოლო პატარაში კი ერთის ყოფნა.
10) ძეგლი კრძალავდა ეკლესიის ტერიტორიაზე პროდუქტებითა თუ სხვა სახის საერო ნივთებით ვაჭრობა.
11) განსაზღვრულია, თუ როგორ და სად უნდა სრულდებოდეს ცოცხლებზე ლოცვა და მიცვალებულთა მოსახსენიებელი.
12) ძეგლისწერა სომხებს მწვალებლებად იხსენიებდა და წარმართებს უთანაბრებდა.
13) ძეგლისწერა კრძალავდა მართლმადიდებელისა და წარმართის ქორწინებას.
14) აიკრძალა წარმომადგენლობითი ქორწინება.
15) სასტიკად აიკრძალა სოდომური ცოდვები და ყოველგვარი უზნეობა.

<u>კითხვარი:</u>

2) **დაასახელეთ მცირე სჯულისკანონის მეორე და მესამე ნაწილები.**

მეორე ნაწილია - „კანონნი შეცოდებულთანი იოანე მმარხველისა“, ხოლო მესამე - „კანონნი დღითი-დღეთა ცდომათანი“.

3) **რომელ ბაგრატს მიიჩნევს ივ. სურგულაძე ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ავტორად და რატომ?**

ივ. სურგულაძე, სამართლის წიგნის ავტორად მიიჩნევს ბაგრატ IV-ს, რადგან მის დროს ქვეყანაში არეულობა სუფევდა და ივ. სურგულაძის აზრით, სწორედ ქვეყნის დაუწყნარებლობა და არეულობა შეიძლება კანონის შედგენის მიზეზი იყოს.

4) **ჩამოთვალეთ კათალიკოსთა სამართლის შედგენის მიზეზები ძეგლის შესავლის მიხედვით. (4 მიზეზი).**

კაცის კვლა; ტყვეთა სყიდვა; ეკლესიის კრეხვა და უხვედრობა.

5) **ვახტანგ VI - ის გარდა რომელი მეფეების საკანონმდებლო აქტებია შესული დასსტურლამალში?**

გიორგი XI - ის „სადედოფლო დასტურლამალი“, „ყაიყულის გარიგება“; როსტომ მეფის „ყარაის კონის განაწესი“; ლევან მეფის „მდივანბეგობის გარიგება“ და „ბოქაულთუხუცესის სარგო“.

IV ვარიანტი

თემა:

1) **ბერძნული სამართლის ქართული ვერსია.**

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილი ბერძნული სამართალი წარმოადგენს მათე ვლასტარის სინტაგმის შემოკლებულ რედაქციას, რომელიც შიგადაშიგ შევსებულია არმენოპულოს სამართლის წიგნიდან და სხვა წყაროებიდან. ქართული თარგმანი შესრულებულია კვიპრიანე სამთავნელის მიერ.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში მოთავსებული ბერძნული სამართლის ქართული თრგმანი შედგენილია ვლახეთში.

კითხვარი:

2) **დაასახელეთ ქართული საერო სამართლის ძეგლები და სახელმწიფო სამართლებრივი ხასიათის ძეგლებს ქვეშ გაუსვით ხაზი.**

ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ბაგრატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, ძეგლისდება, სამართლის წიგნთა კრებული.

3) **რუის-ურბნისის ძეგლისწერა წარმომადგენლობითი ქორწინების შესახებ.**

ძეგლისწერა კრძალავდა წარმომადგენლობით ქორწინებას. წარმომადგენლობითი ქორწინება იყო, როცა შესაუღლებლები სხვადასხვა ადგილას იყვნენ, ხოლო მათ მაგივრად კი მათი წარმომადგენლები იწერდნენ ჯვარს.

4) **რამდენი მწიგნობარი ექვემდებარებოდა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს?**

საწოლისა და ზარდახანის მწიგნობრები. გარდა ამ ორისა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ექვემდებარებოდა კიდევ 24 მწიგნობარი.

5) **რა არის ებრაული სამართლის წყარო?**

„მეორე სჯულის კანონი“ სადაც მოცემულია კანონმდებლობა, მოთხრობილია ებრაელების ხეტიალი უდაბნოში, მოსეს სიკვდილი და მისი დასაფლავება.

6) **როდისაა შედგენილი გიორგი V-ის ძეგლისდება, რომელი მხარისთვის და რა მიზნით?**

ძეგლისდება პატრიკულარული დანიშნულების ძეგლია, იგი შედგენილია მხოლოდ მთიულეთისთვის და მიზნად ისხავდა იქ არსებული მძიმე სისხლის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

V ვარიანტი

თემა:

1) **გიორგი V-ის ძეგლისდება.**

ძეგლისდება პატრიკულარული დანიშნულების ძეგლია, ის შედგენილია მხოლდ მთიულეთისთვის. მისი ძირითადი წყარო არის ადათობრივი სამრთალი. ძეგლისდება შედგენილია 1334-1335 წლებში. იგი ძირითადად სისხლის სამართლის ნორმებს შეიცავს.

ძეგლისდება შედგება შესავლისა და 45 მუხლისაგან. აქედან მხოლოდ ოთხი ეხება სამოქალაქო სამართალს (მამისა და შვილების ეკონომიკური ურთიერთობა, გაყრა, თავისუფლი ქონებისა და ვალის საკითხები). ხოლო დანარჩენი მუხლები კი სისხლის სამართლის შემცველია.

აღსანიშნავია, რომ მთიულეთი განვითარების მხრივ დიდად ჩამორჩებოდა ბარს, ამიტომ ძეგლისდებით შურისძიება არ გაუქმებულა, იგი მხოლოდ შეიზღუდა.

კითხვარი:

2) **ვინ თარგმნა „დიდი სჯულის კანონი“ და როდის?**

„დიდი სჯულის კანონი“ თარგმნა არსენ იყალთოელმა XI-XII საუკუნეების მიჯნაზე.

3) **რუის-ურბნისის ძეგლისწერა სოდომური ცოდვის შესახებ.**

ძეგლისწერის მიხედვით, სოდუმური ცოდვა განსხვავდება სხვა ცოდვებისაგან. სოდომური ცოდვა ღვთისა და ბუნების საწინააღმდეგო ცოდვაა, რომელმაც დაღუპა უამრავი სახელმწიფო და დაუკარგა ხალხს თავისუფლება. აღსანიშნავია, რომ ძეგლისწერა სპარსეთის დაცემას სწოედ ამ ცოდვას უკავშირებს.

4) **რა შემთხვევაში თავისუფლდებოდა ტყვის გამყიდველი სიკვდილით დასჯისაგან კათალიკოსთა სამართლის მიხედვით?**

თუ იგი გაყიდულ ტყვეს გამოისყიდდა და დააბრუნებდა.

5) **როდის იქნა შედგენილი ხელმწიფის კარის გარიგება და ვინ აღმოაჩინა იგი?**

„ხელმწიფის კარის გარიგება“ შედგენილ იქნა XIV საუკუნეში. იგი აღმოაჩინა და დაღუპვას გადაარჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა.

6) **დაასახელეთ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის წყაროები.**

ვახტანგის სამართლის წიგნისათვის წყაროდ გამოყენებულია: გიორგი V-ის ძეგლისდება, აღბუღას სამართალი, კათალიკოსთა სამართალი, სამართალი ბერძნული, ებრაული და სომხური.

VI ვარიანტი

თემა:

1) **ხელმწიფის კარის გარიგება სავაზიროსა და მოძღვართ-მოძღვრის შესახებ.**
   ხელმწიფის კარის გარიგება XIV საუკუნის ძეგლია. ჩვენამდე მოაღწია ამ ძეგლის XVIII საუკუნის ხელნაწერმა.

ძეგლის მიხედვით, სავაზირო იყო მეფის დასაყრდენი, შექმნილი დარბაზის საწინააღმდეგოდ. იგი იყო ბიუროკრატიული დაწესებულება, რომელსაც მეფის ხელისუფლების გაძლიერებისათვის ხელი უნდა შეეწყო. სავაზირო 6 ვეზირისაგან შედგებოდა: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მეექვსე ვეზირად მსახურთუხუცესი უკვე რუსუდან მეფის დროიდან გვხვდება. სავაზიროს მოწვევის ინიციატივა მეფეს ან მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ეკუთვნოდა.

აღსანიშნავია, რომ ძეგლი მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს მოძღვართ-მოძღვრის შესახებ. ძეგლის მიხედვით იგი მეფის შემდეგ ყველაზე დიდი პატივით სარგებლობდა. მოძღვართ-მოძღვარი სწავლული ბერი იყო, შესაძლოა იგი გელათის აკადემიის რექტორიც ყოფილიყო.

კითხვარი:

2) **დაასახელეთ გიორგი V-ის ძეგლისდებით გათვალისწინებული დანაშაულებები.**

მკველობა; სამხედრო ვალდებულებებისთვის თავის არიდება; ცოლის გაშვება ან მოტაცება; ციხის დაქცევა; თავდასხმა; უარზაგნობა (უპატიობა); დაჭრა; ასაბიას მოკვლა ან დაჭრა; ამიერ და იმიერ (ხევის) ერთთმანეთთან გადამტერება; მეკობრეობა; ვალი და პროცენტი და ა.შ.

3) **დაასახელეთ „დიდი სჯულისკანონის“ პირველი და მეოთხე ნაწილები.**
   „მოციქულთა“ (85 საეკლესიო კანონი); და ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარული კანონმდებლობა.

4) **რა ასაკის უნდა ყოფილიყვნენ ადამიანები, რომ მომხდარიყო მათი ხელდასმა ამა თუ იმ საეკლესიო თანამდებობაზე რუის-ურბნისის ძეგლისწერის მიხედვით?**

ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 35 წლის, მღვდელი - 30, დიაკონი - 25, „წიგნის მკითხველი“ – 8 წლის.

5) **რა სასჯელია გათვალისწინებული კათალიკოსთა სამართლის მიხედვით მამისა და ძმის მკვლელობისათვის? (მე-4 მუხლი)**

მეოთხე მუხლის მიხედვით, მამისა და ძმის მკვლელს უნდა მიესაჯოს ხელის მოკვეთა და გაძევება.

6) **ვახტანგ VI-ის დამოკიდებულება სამართლის წიგნთა კრებულში შემავალი უცხოური სამართლის წიგნებისადმი. რატომ ანიჭებს მათთან შედარებით უპირატესობას საკუთარ სამართალს?**

როდესაც ჩვენ საუბარი გვაქვს ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულზე, უნდა ავღნიშნოთ მისი უპირატესობა მასში შემავალ არაქართულ სამართლის წიგნებთან შედარებით. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ განსაზღვრული კაზუსის შესახებ თუ მოიპოვებოდა საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნში, მაშინ აღარ გამოიყენებოდა უცხოური სამართლის წყაროები. ამის შესახებ თავად ვახტანგიც აღნიშნავდა, რომ მოსამართლეს ჯერ საკუთრივ მისი დაწერილი კანონები უნდა ენახა და თუ ის არ აღმოჩნდებოდა საკმარისი, მხოლოდ ამის შემდეგ ეხელმძღვანელათ სამართლის წიგნში შემავალი სხვა, უცხოური წყაროებით, რადგან ვახტანგი თვლიდა, რომ მისი წიგნი უფრო თანამედროვე და ქართულ ადათებზე მორგებული იყო.

VII ვარიანტი

თემა:

1) **კათალიკოსთა სამართალი (მუხლები)**

კათალიკოზთა სამართალი XVI საუკუნის ძეგლია და ეხება საეკლესიო და საერო სამართლის საკითხებს. ძეგლი 22 მუხლისაგან შედგება და მათი უმრავლესობა სისხლის სამართლის შემცველია.

ძეგლში პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს ტყვის გაყიდვა, რომელიც ყველას ეკრძალებოდა „დიდი“ იქნებოდა თუ „მცირე“. სასჯელი იყო ჩამოხრჩობა. თუმცა თუ დამნაშავე შეძლებდა ტყვის გამოსყიდვა და უკან დაბრუნებას, მაშინ იგი სიკვდილით დასჯას გადაურჩებოდა, მაგრამ იგი ვალდებული იყო საურავი გადაეხადა იმ მხარის ეპისკოპოსისთვის და აგრეთვე ტყვის ბატონისთვის.

ეკლესიისა და ხატის გაძარცვა მკრეხელობად ითვლებოდა და დამნაშავეს ჩამოხრჩობით სჯიდნენ.

მეოთხე მუხლის მიხედვით, ძმისა და მამის მკვლელს უნდა მისჯოდა ხელის მოკვეთა და გაძევება.

მეხუთე მუხლის მიხედვით, ვინც „უბრალოდ“, ე.ი. დანაშაულის გარეშე მოკლავს ვინმეს, მაგ. მგზავრს, - დაისჯება. თუმცა სასჯელის სახე არ არის მითითებული.

მეექვსე მუხლის მიხედვით, ქურდი ისჯებოდა „ძველი წესით“, მაგრამ წესის შინაარსი არაა ახსნილი.

მე-7 მუხლიდან მე-16 მუხლამდე, ანუ 9 მუხლი ეკლესიის მსახურთა მოვალეობის საკითხებს ეხებოდა.

მეჩვიდმეტე მუხლით, ეპისკოპოსის შემაგინებელი დაისჯებოდა დიდი სჯულისკანონის წესისამებრ.

მეთვრამეტე მუხლი წყევლის ყველა ეპისკოპოსს, რომელმაც ქრთამით დანიშნა უღირსი მღვდელი ან დიაკონი.

ძეგლი წყევლა-კრულვას უგზავნის მას, (იმ სასამართლოს) რომელიც საფუძვლიანად არ გამოიძიებს დანაშაულს და უსამართლო განაჩენს გამოიტანს.

ძეგლისწერა მეოცე მუხლით აგრეთვე შეჩვენებით ემუქრება მათ, ვინც ეკლესიას ქონებას (მამული, მიწა, ვენახი) წაართმევს.

ოცდამეერთე მუხლი ლოცავს მას, ვინც დაიცავს ძეგლისწერის დადგენილებებს და წყევლის მის დამრღვევთ.

აღსანიშნავია ხელრთვამდე ჩასმული ოცდამეორე მუხლი, რომელიც სიკვდილით (ჩაქოლვით) ემუქრება ყველას, ვინც ცოლად რძალს შეირთავს.

ამ მუხლს მოსდევს ხელრთვა.

ხელრთვის შემდეგ კი მიწერილია მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ ცოლის უბრალოდ დამგდები სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ეს სავარაუდოდ შემდგომი მინაწერი უნდა იყოს, რადგან ასეთი კანონი უცნობია ქართული სამართლის სხვა წყაროებისთვის.

<u>კითხვარი:</u>

2) **ქართული სამართლის ძეგლების კლასიფიკაცია.**

ქართული სამართლის ძეგლებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ გვაქვს როგორც **არაპირდაპირი,** ასევე **პირდაპირი** წყაროები.

არაპირდაპირი წყაროებია: არმაზის ბილინგვა, „შუშანიკის წამება“ და ა.შ.

პირდაპირი წყაროები ორ ჯგუფად იყოფიან:

1) **საეკლესიო სამართლის წყაროები.** ეს უკანასკნელი იყოფა ორ ჯგუფად:
   ა) უცხოურიდან ნათარგმნი: ექვთიმე მთაწმინდელის მცირე სჯულისკანონი და არსენ იყალთოელის დიდი სჯულისკანონი.
   ბ) ადგილობრივი: „რუის-ურბნისის ძეგლისწერა“, „კათალიკოზთა სამართალი“.
2) **საერო სამართლის ძეგლები:**
   ა) სახელმწიფო სამართლის ძეგლები: გორგი ბრწყინვალის „ხელმწიფის კარის გარიგება“, ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“.
   ბ) სისხლისა და სამოქალაქო სამართლის შემცველი ძეგლები: „აღბუღას სამართლის წიგნი“, „ბაგრატის სამართლის წიგნის“ ფრაგმენტი, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდება“, ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნთა კრებული“.

3) **დაასახელეთ სომხური სამართლის შემადგენელი ნაწილები.**

სომხური სამარალი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ორი ნაწილისაგან შედგება: სირიულ რომაული სამართლისა და მხითარ გოშის სამართლისაგან.

4) **საქორწინო ასაკი და ქორწინების აკრძალვა. ვის შორის იკრძალება ქორწინება რუის-ურბნისის ძეგლისწერის მიხედვით? (მე-7 და მე-13 კანონები).**

ქორწინებისთვის განსაზღვრული იყო ასაკი, კერძოდ, ქალი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 12 წლის. როგორც ჩანს მიღებული იყო ჩვილთა გვირგვინის კურთხევა, რასაც კრძალავს ძეგლისწერა. ძეგლისწერა აგრეთვე კრძალავს მართლმადიდებლისა და წარმართის შეუღლებას.

5) **რა ეწოდებოდა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს 1672 წლის ხელნაწერის მიხედვით და რამდენი მუხლისაგან შედგებოდა?**

1672 წლის ხელნაწერის მიღედვით ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს ეწოდება „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე“ და შედგება 98 მუხლისაგან.

6) **რა არის გიორგი V-ის ძეგლისდების ძირითადი წყარო და სასჯელის რა სახეებია მოცემული მასში?**

ძეგლისდების ძირითადი წყარო ადათობრივი სამართალია. სასჯელის სახეებიდან მოცემულია გაძევება და გაპარსვა.

VIII ვარიანტი

თემა:

1) **ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი. მეცნიერთა მოსაზრებები ბაგრატ კურაპალატის ვინაობასთან დაკავშირებით.**

აღბუღას სამართლის წიგნს დამატებული აქვს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტი, რასაც მოწმობს მე-99 მუხლის შესავალი. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით მე-100, 101-ე, 102-ე და 103-ე მუხლები უეჭველად ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის. თუმცა საკითხავია, თუ რომელ ბაგრატზეა საუბარი, ბაგრატ აშოტის ძე, ბაგრატ II, ბაგრატ III, ბაგრატ IV თუ ბაგრატ V?

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ბაგრატ I (აშოტის ძის) სასარგებლოდ მიუთითებს ის გარემოება, რომ ეს მეფე ცნობილი იყო, როგორც ეკლ;ესიის მშენებელი, აგრეთვე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც დახასიათებულია ბაგრატ I როგორც ეკლესიათა მშენებელი. აგრეთვე ამ დროს სამღვდელოებასა და ზოგადად ეკლესიას უდიდესი გავლენა ჰქონდა ხელისუფლებაზე. თუმცა ივ. ჯავახიშვილივე უარყოფს ბაგრატ I-ის ავტორობას, რადგან მას არ ჰქონდა „მეფეთ მეფის“ ტიტული. ჯავახიშვილი აგრეთვე გამორიცხავს ბაგრატ V-საც, რადგან მას არ ჰქონია კურაპალატის წოდება. გამოირიცხება აგრეთვე ბაგრატ II, რადგან მას „რეგვენ“ მეფეს უწოდებდნენ.

რაც შეეხება ბაგრატ III და ბაგრატ IV, ჯავახიშვილი ბაგრატ III-ს ანიჭებს უპირატესობას, რადგან იგი ყოფილა სამართლიანი და ეკლესიათა აღმაშენებელი მეფე. მე-100 მუხლშიც ბაგრატი აღმაშენებლადაა მოხსენიებული და მემატიანეც „მშენებელს“ უწოდებს ბაგატ III-ს.

ივ. სურგულაძის აზრით კი ეს უნდა ყოფილიყო ბაგრატ IV. რადგან სწორედ ის, რომ ქვეყანაში არეულობა სუფევდა იქნებოდა კანონების მიღების წინაპირობა. პროფესორ სურგულაძეს მაგალითად მოჰყავს „კათალიკოზთა სამართალი“, რომელიც სწორედ რომ არეულობის აღმოსაფხვრელად დაიწერა.

ი. დოლიძის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ოპიზართა სიგელისა და ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტის 99-ე მუხლის მსგავსებას, რის საფუძველზეც ძეგლის ავტორი ბაგრატ III უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, მეცნიერებს არ აქვთ ჩამოყალიბებული შეხედულება, თუ რომელ ბაგრატს ეკუთვნის სამართლის წიგნის ფრაგმენტი.

კითხვარი:

2) **ვინ თარგმნა მცირე სჯულის კანონი და როდის?**

ექვთიმე მთაწმინდელმა 1005-1028 წლებში.

3) **რუის-ურბნისის ძეგლისწერა სოდომური ცოდვის შესახებ.**

ძეგლისწერის მიხედვით, სოდუმური ცოდვა განსხვავდება სხვა ცოდვებისაგან. სოდომური ცოდვა ღვთისა და ბუნების საწინააღმდეგო ცოდვაა, რომელმაც დაღუპა უამრავი

სახელმწიფო და დაუკარგა ხალხს თავისუფლება. აღსანიშნავია, რომ ძეგლისწერა სპარსეთის დაცემას სწოდედ ამ ცოდვას უკავშირებს.

4) **რა სასჯელი იყო გათვალისწინებული რძლის ცოლად შერთვისათვის კათალიკოსთა სამართლის მიხედვით?**

შეჩვენება და ჩაქოლვა.

5) **როდის იქნა შედგენილი „ხელმწიფის კარის გარიგება“ და ვინ აღმოაჩინა იგი?**

„ხელმწიფის კარის გარიგება“ XIV საუკუნის ძეგლია. ჩვენამდე მოაღწია ამ ძეგლის XVIII საუკუნის ხელნაწერმა. იგი აღმოაჩინა ექვთიმე თაყაიშვილმა.

6) **დაასახელეთ ვახტანგ VI-ს სამართლის წიგნის წყაროები.**

გიორგი ბრწინვალის „ძეგლისდება“; „აღბუღას სამართალი“; „კათალიკოზთა სამართალი“; „ებრაული სამართალი“; „სომხური სამართალი“; „ბერძნული სამართალი“.

აქამდე შეადგინა და დაამუშავა: <u>გიორგი ბაღდავაძემ!</u>

<u>ბოლოს დამატებული თემები შემდეგ ფურცელზეა</u>

ბოლოს დამატებული თემები (სულ 16 ცალი, აქედან ნაწილი ისედაც შედიოდა ვარიანტებში, ის რაც ახალი იყო აგერ ბატონო)

ქვემოთ მოცემული სურათების ავტორია: თათია სულაძე!

I. ქართული ეკლესიური ხელნაწერები „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" მიხედვით.

ვიდრე „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" ავტორის ვინაობას შეეხებოდეს, ჯერ-ჯერობით, ეს ფაქტი ვერ აღმოჩენილა, ის ეპოქა, რომელშიც ეს ნაწარმოები შეთხზეს. იგი დაწერილია VI საუკუნის შუა ხანებში.

VI საუკუნე საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ხანა. ქართველ ერს მძიმე გაუჭირდა და ქართველ საზოგადოებას მიხეილ მესამეს განაგებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ფეოდალებს, გაწყვეტილნი ჯოანის ეგზარქოსი წინააღმდეგ ერთი ერთვალი საქმეზე. ფეოდალებიც. მეორის მეფეებს საზოგადოებრივ ქართველ საფეოდალო მიხედულობა ან მიუსაჯია. ქართველ ერი მიხეილებზე (კალიგული, ბაბილონი, ბერძენებში) ხელოვნებიანებიც ომიანობაში ლეგენდარებენ მიხეილ.

მესამეს ქართველში საზოგადოებ ქრისტიანობის დევნაზე ხელი აიღო, მაგრამ ეს ის ნიშნავდა იმას, რომ დაუბრუნა საზოგადოებას ქრისტიანობა; ოღონდ ეს ევსტათი მცხეთელის ზეობისაში მიხედა. ოღონდ ვიცი იმ საზოგადოებ მიეცა, ნაბრძანები ბამ ფეოდ და ლეონიდან ნაბრძანები, ოღონდ მცხეთაში ჩამოსვლის შემდეგ აქაც ლეონ და ქრისტიანობა აღიარა.

ევსტათი და მისნი ერთად 8 ქრისტიანი ბერძენის მიზანს წარყვანენ ჩადგენილ მცხეთის ციხისაკენ ის ბერნი ადგილ კეთილ ასეთ ძმებ სხვა ადგილ ნამყოფი (საზოგადოებ ქრისტიანობა). ასეთ ბრძოლა ასეთ ბერძენ „ორმაგ ბერ" ეგეთ ოდენ. ასეთ სიტყვებ ბერძენ მეფეთა ბერძენის კომპეტენციაში ფლიდა.

ეგენი ციხეშიაც ის ფაქტია, რომ „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" ყველა ის მეფეებ ქრისტიანები საზოგადოებ ბერძენ ბერძენ ეკლესიებ ეკლესიებ საზოგადოებ ბერძენ ეკლესიებ. ეს ისინი ეროვნული ბერძენ ეკლესიებ ეკლესიებ ეკლესიებ

1. ფასიანი სიტყვა „ეკლესია ჩვენიერ ძალაა“ ბუნებაზე

ეს „ეკლესია ჩვენიერ ძალაა“ აკეთებს ჩვენიერებს ეკლესიაზე ანაც ამ სიტყვაზე (ტიპიკონი, ბერძნული ტექსტები), აგრეთვე ბიბლიოგრაფიული ან ფასიანი, რომელიც ეს ბიბლიოგრ. ეკლესია. ეკლესიაზე VI საუკუნის ბოლო ნიკეაში.

VI საუკუნე სასტიკი ისტორიის ეპოქა: ქალაქები ეცემოდნენ ბარბაროსთა ხელში, ადამიანები ტანჯავენ ერთმანეთს. ეკლესია ერთადერთი ადგილია, სადაც ადამიანი ეძებს ნუგეშს. ეკლესიაზე ეს ეკლესიის ტიპიკონი, ანაფორა, ანაფორა ეკლესიის ტიპიკონ. ეს ბიბლიოგრ. ეკლესიის ტიპიკონ, ანაფორა და ასევე ეკლესიის ტიპიკონ ანაფორა ეკლესიის ტიპიკონ, ანაფორა ეკლესიის ტიპიკონ, ანაფორა ეკლესიის ტიპიკონ,

III. ოთხე სამეფოს ძალაუფლება და სამხედროებრივი შეხლეულობები

ოთხე სამეფოს VIII საუკუნის შუა ნახევრის პოლიტიკურ ასპარეზზე ეკონომიკურ ძალაუფლებასა ერთ-ერთ ადგილს, ოთხე სამეფოს ეკონომიკურ ინტერესებს ეფუძნებოდა.

ნინოწმინდის ეპისკოპოსი ანტონი ეკლესიის ეკონომიკურ ინტერესებზე, ოთხ „ეროვნულ" სამეფოებს შორის. ეკლესია ადგილობრივ ძალაუფლებას, ოთხ შეიტანა ფეოდალურ ურთიერთობებში.

ოთხე სამეფოს ეკონომიკურ ურთიერთობა ფეოდალურ-ბიზანტიურ ... ... (ანა) ... ...

IV ეროსის და სიყვარულის ფილოსოფიის საკითხი „ვეფხვის წარძღოლის ცხოვრების" მიხედვით

ვეფხვი შეიქმნა X საუკუნის მიწურულს. ალბათ ნაწარმოებში — „ცხოვრება ვეფხვისა ნარძღოლისა" დაწერილი უნდა ეწოდოს X საუკუნის მე-2 ნახევარში. მასში აღწერილია VIII–IX საუკუნეების ვიანური სინამდვილის იმ ნაწილში, სადაც ცხო-ვრობენ ეთნოგრაფები.

ავტორი ახალი ადამიანების ყველა ვიანური საერთოა და სული ხელოვნების ფილოსოფიის შესახებ, ასევე ამყარებს კიდევ სიმბოლის ძალ მეტ ალეგორიულ მოვლენებისგან. ნაწარმოების მიხედვით სხვადასხვაგვარ წუხილი უნდა იყოს ეროსი, სადაც სინამდვილეში სული ხელოვნებაა. ბოლოს ეროსის მახასიათებლებიც ასევე მიანიჭებენ სული სინამდვილეში.

ვეფხვი ნარძღოლის აზრით, შეიძლება უნდა იყოს ეროსი და ფილოსოფიის დამცველი, საბერძნო სინამდვილეში, ანუ ბუნება, ეროსის მანქანა ეკონომიკა ძალიან ამიყვანენ ტოტალურ და ფილოსოფიურ ბუნებრივ ბუნებამდე.

ნაწარმოებში ასევე იდეა გვაქვს, რომ შეიძლება, მიაღწიოს ადამიანმა ეროსი-მიზანს. საბოლოოდ ეს ეროსი-მიზანი ადამიანებს ადგენენ ზეა, ოსტატობენ ასევე.

ვეფხვი ბუნებრივ აზრით, ეროსის ბუნება ბუნებრივია, სიყვარულია ბუნება. ბიბლიურ სინამდვილეში სულიერება უნდა იყოს ზეა ანასტასიაზე საუბარია, ვინაიდან ეს ორაზროვნებაშია ზოგიერთი ბერძნული ამბავი ეროსის სასარგებლოდ. მე: ვეფხვი ძალიან ასევე ეროსიერია ასევე სინამდვილეში; ასევე ასევე [illegible] შეიძლება, რომელიც „სიძველ ფიქრი" ეწოდა.

V სხეულებრივი და ეროსის ფეოფანიერის სკვეთი „სუსანინი ზარზეთის სოფლებში“

ბესიკ ზარიფაშვილის შეხედულებით სხეულებრივი სავალალო ისევ საშიში ინსტიტუტების შესახებ ვ�oდა მისი ნაწარმოების — „ნინო სუსანინი ზარიფეთისაა“-ს მეხედვით.

ბესიკის ალეგორიული შეხედულებით ზეციერი სკვეთის მგზავრი ეროსის ფაფუკი ხიფათი შესახებ სხეულებრივში, ძირითადად ეს ვამოიჩენა, ნიკი ზეციერი სკვეთზე დასვლის გამოცდა მისი სრულიად შესაფერებელ, მოვლენა ადამიანი, ანარეკლი ასევ შესაფერები.

ბესიკ ზარიფაშვილი აზრით, ეროსის უნდა ემოქმედებოდეს სხეულებრივზე. ეროტიკული სხეულებრივი, ოვალური ვერსია და ლირიკა მოქმედებს ფეოდალ ადამიანს, რომ ეროსის ნაწარმოებების ოვალ მსახურები ვალ-ალაბ. ე.ი. ეროსი ადამიანის გონიერებას ანადგურებს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეროსის ნაწარმოებებში მოკვლა ფაქტი დამაბინძურებელია ანგელოზების სხვადასხვა ოვალზე. მგზავრი, ადგილობრივი ოვალებიდან, რომელსაც ის სადა ბანაზე ბერდა მიბაძვა ფაფუკი ფაფუკ. ისევ „ანანი“ სხეულებრივი ადამიანი ადამიანი ეროტიკის, რომელსაც ეს ფაფუკი ფაფუკი ანადგურებს ანადგურებ და რომელსაც ეს სადა „ანანები“ ბანაფიერი ვიზეული და ბერდ ალაბ. ამ ნაწილის ამბავი ეროტიკა „ალეფი“ (ბერიანი, ოვალი) სასიკეთო შეხედულებით ვალაბერეა ადამიანი ფაფუკი.

ეროტი უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეროტის ბიბლიური ყოვლი, რომელიც ხელს აფუძნებენ ეროტიკა-ბანაფიერებს შეუნიღბავს და უკანასკნელი ეხმარებიან ეროტიკის ანანი.

ბესიკ ზარიფაშვილი ანალიზებულია საყურადღებო ეფექტი ქმნიან ადამიანი სიბრძნეში. მისი აზრით, სხეულებრივი, სადა სასიყვარულ ეროტის უნდა ეფუძნებოდეს.

VI პერსპექტივა სამეგრელოს ეროვნული ინტერესების [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

<u>გისურვებთ წარმატებას!</u>